

სემანტიკური გაფართოვება-დავიწროების პროცესები
პართულ საკუთარ და საზოგადო სახელებში

საკუთარი სახელი განიმარტება როგორც სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც სახელების ობიექტის მაინდივიდუალიზებული, მაიდენტიფიცირებელი ფუნქციის მქონეა და რომელიც, საზოგადო სახელისაგან განსხვავებით, უშუალოდ არ უკავშირდება საგნის ცნებას. ჩვეულებრივ, საკუთარი სახელი მეორეულია აბელატივთან (საზოგადო სახელთან) მიმართებით¹, თუმცა ენამ იცის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ონიმი (საკუთარი სახელი) ამოსავალს წარმოადგენს აბელატივისათვის, რომლისთვისაც იგი არა მარტო სტრუქტურულ, არამედ სემანტიკურ საფუძვლადაც იწყევანოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი სახელები გარკვეული კონსერვატივობით, ფორმობრივი სიმყარითა და სემანტიკური „სიცარიელით“ ხასიათდება², მათზე მაინც მოქმედებს მრავალი ექსტრალინგვისტური ფაქტორი (გეოგრაფიული გარემო, ეთნოკულტურა, რელიგია, სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და სხვ.), რომლებიც მათ გარკვეულ ინფორმაციულობას მაინც სძენენ, ხოლო ინფორმაციულობის ხარისხის ზრდა საკუთარ სახელებში აძლიერებს მათი აბელატივიაციის უნარს.

ენა, როგორც ცნობილია, ნაშანთა სისტემაა. ყოველი ენობრივი ნიშნის, ჩვენს შემთხვევაში — ლექსიკური ერთეულის გაჩენა გარკვეული მოტივაციების საფუძველზე ხდება, რომელთა დადგენა გარკვეულ შემთხვევებში იძლეანადვე რთულია, რამდენადაც რთულია საგრძობად ეტიმოლოგიური კვლევა ნებისმიერი ლექსემისა, თუმცა ენაში არის „მეტნაკლებად გამკვირვალე“ ეტიმოლოგიის მქონე ლექსიკური ერთეულებიც.

ამგვარი ლექსემები საკუთარ სახელთა შორისაც გვხვდება, მით უფრო, რომ საკუთარი სახელები ხშირად მეორეული წარმოშობისაა

¹ Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990, с. 347.

² См.: А. В. Суперанская, Языковые и внеязыковые ассоциации собственных имен: კრებ. Антропонимика, М., 1970, с. 7—17.

და, შესაბამისად, ამოსავალი აპელატივის სემანტიკის თავისი მდგრადი ბუნების გამო უკეთ ინარჩუნებენ. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთა სემანტიკური „დატვირთვა“ ჩვენს თვალწინ (კონკრეტული ისტორიულ-კულტურული რეალიის საფუძველზე) მოხდა. სწორედ ამ სახის ონიმები ხაზიათდებიან აპელატივაციისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებით.

განზოგადების უნარის მქონე ონომასტიკური ლექსიკა პირობითად შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ:

1. სპეციფიკური ეროვნული, ელკალურა კონტაქტის მქონე ონიმები.

ეს ლექსიკა ამა თუ იმ კონკრეტული ენის წარმომადგენელთათვის თვითმყოფი ეროვნული ასოციაციების შემცველია და უცხოა სხვა ეროვნული თუ სოციალურ-კულტურული ერთობის წარმომადგენლისათვის (მტკვარი, ნარიყალა, თეთრი ხედი, მთაწმინდა...).

2. ონიმები ლიტერატურული სიმბოლოს ფუნქციით.

ეს ფუნქცია საკუთარმა სახელებმა გარკვეული კონტექსტის (მატერული ან პუბლიცისტური ლიტერატურის) გავლენით შეიძინეს (მაგ., ნაცარქექია, კვაჭია...).

3. საკუთარი სახელები — სიმბოლოები.

სიმბოლურ საკუთარ სახელთა მოხმობა ხდება მაშინ, როდესაც სურთ რეალურ საკუთარსახელიან ობიექტთა „შენიშვნა“, სიმბოლოთი აღნიშვნა. ამის საჭიროება კი ძირითადად მაშინ ჩნდება, როდესაც რეალური საკუთარი სახელი მეტისმეტად მეტყველია (მაგ., ჩრდილოეთი = რუსეთის იმპერია)³.

აპელატივაციის გზაზე საკუთარი სახელები რამდენიმე საფეხურს გაივლიან: საკუთარი სახელი, მართალია, კერძოობითი ხასიათისაა, მაგრამ ერთადერთი საგნის აღმნიშვნელად (როგორცაა ქტემატონიმი და ზოგი სახის პრაგმონიმი), თუნდაც სახელთა დამთხვევის შესაძლებლობის გამო, იშვიათად გვევლენება. როდესაც ონიმის გადააზრება იწყება, ჯერ ხდება მისი ინდივიდუალიზაცია, ერთადერთი საგნის აღმნიშვნელად გადაქცევა, შემდეგ მისი დატვირთვა სახელების ობიექტთან დაკავშირებული ინფორმაციით (ოქაზიური, მხოლოდ გარკვეულ სიტუაციასთან დაკავშირებული ცნობები, ისტორიული მასალა, ექსტრალინგვიკური მხარე...), ბოლოს კი — საზოგადო სახელად ჩამოყალიბება, გაფორმება.

³ А. В. Суперанская, Прописная и строчная буква в собственных именах разных категорий. Ктеб. Орфография собственных имен, М., 1965, с. 33.

1. ონიმის განზოგადების ერთ-ერთი გამოვლინება ისაა, რომ იგი სახეობრივი, გვარეობითი მახასიათებელი ხდება გარკვეული ობიექტისა თუ მოვლენისა ისე, რომ არც ფორმის იცვლის და არც ბოლომდე გააპელატივდება.

რომელი თამარ დედოფალია შენი ქალი რას უნდა დახარბებოდა, თუ არ ქონებაში! (ალ. ცაგარ).

2. საკუთარი სახელებიათვის, ჩვეულებრივ, უცხოა მრავლობითი რიცხვის ფორმები (ცხადია, ეს აბსოლუტურად ეგელა ონიმს არ ეხება: მაგ., ტომონიმებში, კერძოდ, ორონიმებში, გვაქვს: **ალბები, ანდები, კორდილიერები...**⁴) და, როდესაც ონიმური ფუძე ირთავს მრავლობითის ნიშნებს, ეს საკუთარი სახელები აპელატიურ ლექსიკაში გადადიან, თუმცა არც იქ იქცევიან ტიპურ საზოგადო სახელებად: ამჯერად მათ სემანტიკური თვალსაზრისით უფრო ექსპრესიული ფონი უჩნდებათ, ვიდრე თავით აპელატივებს აქვთ ხოლმე ჩვეულებრივ საკუთარ სახელებთან შედარებით და უფრო „მეტყველ“, ცნებითს სემანტიკას იძენენ:

ჩვენაა გააოცრად გაზრდილი მოღრმისებული კამოები, სერგოები, სტალინები და ლენინები („კაბად.“).

3. ე. წ. „ლიტერატურული სახელების“ (თავად ნაწარმოების სახელწოდება ან ლიტერატურული პერსონაჟის სახელი) აპელატივაციის დროს სტილისტიკური თვალსაზრისით რამდენიმე გვუფი იქმნება:

ა) ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელები ხშირად ირონიულ-სატირულ კონტექსტში გვხვდება, როგორც გროტესკულ პერსონაჟთა სახელები (**ლუარსაბები, ლუარსაბობა, თათქარიძეობა, დარეჯანები, კვაჭი, კვაჭობა, კვაჭური... კაროყნები, კაროყნასავით...**);

ბ) ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელები ძალიან ხშირად ე. წ. „კონტრასტის“ ეფექტისათვის გამოიყენება, როცა მიზანი სახელდების ობიექტთა სრული იდენტიფიცირება კი არ არის, არამედ მათ შორის სხვაობის ჩვენება (მაგ., **აბესალომი და მურმანი, რუქა და სედრაქი, ოსმანი და ალია...**);

გ) ექსპრესიის მიზნით ძველი (ტრადიციული ხმარების) და ახალი ონიმების კონტრასტიურ მნიშვნელობათა სინთეზირების გზით იქმნება შესაძენ, ახალი ონიმი თავისა დამატებითი კონტრასტიით (მაგ., **ტარიელ მკლავაძე**);

დ) საკუთარი სახელების განზოგადებითა და კოსტრასტირებით მინიშნებულია მანძილი (მაგ.: **აქედან გავკარ ოსარი, ბახტრიონს შეეძარ**

4 ამის შესახებ სპეციალურად იხ. ე. შადრაძე, მრავლობითის ფორმის მქონე არაქართული გეოგრაფიული სახელების გადმოღებისათვის: ქსკს, VIII, თბ., 1988, გვ. 340—349.

ფიციარი, — ხალხ.). „შორეულ“ ტოპონიმებით ხაზგასმულია მანძილის სიდიდე:

ორიოლეთს გაცელება ვისიძე — სამშობლოდან გაქცევა, მტრის ხელში ჩაგდება (თ. სახ.). სტამბოლი ჯავრადო (ხალხ.), ვირის თოფრამ თეირაჟი მოიარა, ისევ თოფრად დარჩაო (ხალხ.). კითხვა-კითხვით იერუსალიმს მივლენო (ხალხ.). ძალი იერუსალიმშიც ვეფდოო (ხალხ.).

დ) ონიშთა განზოგადების, გადააზრების თავისებური მიაგალითებია დროის მიმანიშნებელი ანთროპონიმული წყვილები (ადამ და ევადან ასე მოსდგამს; ათადან და ბაბადან ასე იყო...);

ონიშთა განზოგადება ირადიაციის — ერთი ლექსიკური ჯგუფიდან მეორეში გადასვლის გზითაც ხორციელდება (მაგ.: ცირა სამეგრელოში გოგონას, ქალიშვილს აღნიშნავს, სხვა რეგიონებში კი საკუთარ სახელად იქცა. განზოგადების პროცესში ასეთმა სახელებმა შეიძლება ამოსავალი აპელატიური მნიშვნელობა აღიდგინონ).

ირადიაციის პროცესში ლექსემა გადაიყოლებს არა მთელს ინფორმაციას, არამედ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელშიც თავმოყრილია, კონცენტრირებულია ძირითადი ლოგიკურ-კონოტაციური ელემენტები (მაგ., როსტომი ზეულებრივი ანთროპონიშია, მაგრამ როსტომის ციხე (გული, მკლავი... გმირი როსტომის სახელთანაა დაკავშირებული: „გული როსტომისა — ბარგო ლოკოკისა“, ანდა: „აკიბულსა კიბესა, როსტომანის ციხესა, შვეა ლომი და შეკივა ზედ მარგალიტი შესკვივა“ — ხალხ.).

ზ) საკუთარ სახელთაგან ზმნების წარმოება აბსტრაქტიზების, განზოგადების უშაღლეს საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ონიშთა ვერბალიზაციის შემთხვევები არცთუ ზმირია („ხან რუსთაველობს, ხან შავთელობს, ხანაც მოიხანრუხავებს“, — აკაკი, „პანორანა“).

საკუთარ სახელთა კონოტაციური მნიშვნელობა კვინდება მხოლოდ მათი აბსტრაქტიზების დროს, ხოლო აბსტრაქტიზებული ონიში ზმნის წარმოების სემანტიკურ საფუძველს წარმოადგენს. ამ მოვლენის შესწავლა საინტერესოა სოციოლინგვისტური, ფსიქოლინგვისტური და, რა თქმა უნდა, წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით.

როგორც აღინიშნა, საკუთარი სახელები წარმოიქმნება ვარკვეულ სოციალურ გარემოში, სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალური თუ კულ-

5 ირადიაცია — ტრანსონიმიზაციის სახე, ონიშთა მნიშვნელობის გაცდრა-ობა-დაცვრობა სახელთა ერთი კლასიდან ნეორეში გადასვლის გზით. იხ. Липгвистический энциклопедический словарь, გვ. 347, 473 აგრეთვე: Н. В. Подольская, Словарь русской ономастической терминологии, М., 1988, გვ. 63.

6 აქის შესახებ იხ. Sch. Ardidonidse, Das System der georgischen Anthroponyme (Personennamen): Georgica, Heft 7, Jena—Tbilissi, 1984, გვ. 24.

ტურული ფაქტორის (კონკრეტული დროის, საზოგადოებრივი ინტერესების, იდეოლოგიური ტენდენციებისა და სხვ.) შემოქმედების შედეგად. ამიტომ ონიმთა კონტაქტურ მხარეზე საუბრისას საჭიროა ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება.

ონომასტიკური სისტემების აღსაწერად და გამოსაყვლევად საკმარისი არ არის ნასაღისადმი მხოლოდ წმინდა ლინგვისტური მიდგომა. საკუთარ სახელთა წარმოქმნა და ევოლუცია დიდად არის შეპირთბებული საზოგადოებრივი ცხოვრებით, ამიტომ ონიმური ლექსიკის შესწავლისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცნობების შეკრება დენოტატზე. მხოლოდ ამ მონაცემთა ლინგვისტურ ინფორმაციაზე დართვის შემდეგ შეიძლება ჩაითვალოს ონიმის ანალიზისათვის მოსამზადებელი ეტაპი დამთავრებულად.

აპელატივირებული საკუთარი სახელის ინტერპრეტაციისას მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. „ფონურ ცოდნას“⁷, რომელიც თითქმის ყოველი მომხმარებლისათვის განსხევეებული ხარისხისაა.

კონტაქტური ონომასტიკური სემანტიკის მჭონე ლექსემები, გვევლინებიან რა ერთგვარ შეაღედურ რგოლად საკუთარ და საზოგადო სახელთა ბინარულ დაპირისპირებაში, უთუოდ იცევიან არა მარტო თეორიული ონომასტიკის, არამედ აგრეთვე ქვეყანათმცოდნეობის შესწავლს ობიექტად⁸.

ე. წ. პრაპრიალური (ონომასტიკური) ლექსიკა მრავალი თვალსაზრისის მიხედვით შეიძლება დაჯგუფდეს:

საკუთარ სახელთა გადაზრება სხეადსხვა სიმბოლოდ ონიმთა გამოყენებასაც გულისხმობს. მაგ., ამ პრინციპით გამოიყოფა შემდეგი ტიპები, რომლებშიც ხაზგასკულია:

1. დენოტატის ან შესაბამისი ონიმის წარმოშობა (ქართლოსი, „კოლხური კოშკი“...);

2. სახელდების ობიექტისადმი განწყობა (გემი „იმედი“, რესტორანი „სამადლო“, ანთროპონიმები — იმედა, მახარე, ველოდი...);

3. გაცნობის, წარმომადგენლობის სიმბოლოდ ქცევა ზოგი ონიმისა (მაგ., გიორგი ქართველის სიმბოლოა, აბრამი — ებრაელისა, ივან — რუსისა; შდრ.: კრემლი — მოსკოვის სიმბოლო, ეიფელის კოშკი — პარიზისა, შთაწმინდა — თბილისისა, თუმცა ბოლო დროს ჩვენში არის ცდები ვახტანგ გორგასლის ძეგლი მეტეხთან თბილისის სიმბოლოდ გამოსახოს);

4. ლიტერატურული პერსონაჟების ასოციაციურობა (მაგ., ავთანდილი და „ვეფხისტყაოსანი“...);

7 В. Э. Стальтмане, Ономастическая лексикография, М., 1989, с. 43.

8 იქვე, გვ. 13.

5. საკუთარი სახელებით (ჩვეულებრივ, ბიბლიური ან მითოლოგიური) ახალ შესიტყვებათა წარმოება (ქრისტეს ფეხის მკენცტელი, იობის დღეში ჩავარდნა...).

მეტაფორიზებული ონიმების კლასიფიკაცია სხვა კუთხითაც შეიძლება — ვთქვათ, ონომასტიკის ქვედარგების მიხედვით (მაგ., მხოლოდ ტოპონიმები, ან მხოლოდ პრაგმონიმები და ნათ შიგნით ზამოყოფილი ჯგუფები).

ამა თუ იმ საკლასიფიკაციო პრინციპისათვის უპირატესობის მიწიჭებისას უნდა ამოვიღეთ კონკრეტული გამოცვლევების მიზნიდან — რისი დასაბუთება თუ ხაზგასმა წარმოადგენს საკითხის შემსწავლელის ამოცანას.

ონომასტიკური ლექსიკა არ წარმოადგენს საერთო ენობრივ მასალიდან მოწყვეტილ, ცალკე მდგომ, უშინაარსო და ფორმალურულ მასალას. ენა მუდმივად მოძრაე, ცვალებადს და, ამასთან, მყარი კანონებითა და კატეგორიებით შეკრულ ორგანიზმს წარმოადგენს, რომელშიც პროპრიალური ლექსიკაც, მსგავსად აპელატივებისა, მუდმივ დინამიკაშია: იცვლება ფონეტიკურად, მორფოლოგიურად, სინტაქსურად, სემანტიკურად, სტილისტიკურად. ის აქტიურად მონაწილეობს სიტყვაწარმოებითს პროცესებში, წარმოქმნის ტერმინებს (კუთრი, რენტევენის აპარატი, ფარადიზაცია...) და, მეტიც, განიცდის აპელატივის, ან პირიქით; თვით იქმნება აპელატივთან, ე. ი. ხდება საზოგადო სახელის ონიმიზაცია.

სწორედ ამ პროპრიალური ლექსიკის ქვეჯგუფთა ერთიანობის, მსგავსების, სიახლოვისა და აპელატივ-ონიმიზა ურთიერთმოქმედების ზღვრებას ისახავს მიზნად წინამდებარე ნაშრომი.

საკუთარი სახელების აპელატივისაციის პროცესი ფართოდ არის გავრცელებული მრავალ ენაში. არსებობს საკუთარ სახელთა ფუნქციონირების უნივერსალური სფეროები, მსგავსი, ანალიტიკური კონტაქტური მნიშვნელობანი და მისთ., თუმცა უნდა ითქვას, რომ მათი ექსპრესიული და სტილისტიკური შესაძლებლობანი ყველა ენაში ერთნაირი როდია. ასეთი სახელებია, მაგალითად:

ა) მითოლოგიური წარმოშობის საკუთარი სახელები („არა ერთს იგონებს მშვენიერ ვლენეს“, — გ. ტაბ.);

ბ) რელიგიური წარმოდგენებიდან და წყაროებიდან მოხმობილი ონიმები („მსგავსი ისკარიოტელის და იუდას თანასწორი“, — აკაკი);

გ) ლიტერატურულ პერსონაჟთა სახელების ნაწილი (თუმცა ამგვარი სახელებისადმი დამოკიდებულებაც სხვადასხვა განათლებისა თუ სოციალური ჯგუფებისათვის სხვადასხვაა).

ყველაზე მრავალსდამტევი (მრავალრიცხოვანი მომხმარებლის, ფართო აუდიტორიისათვის მისაწვდომი) მითოლოგიური და რელიგიური წარმოშობის ონიმებია, რადგან მრავალი მათგანი სწორედ ინტერნაციონალური გამოყენებისა და საკუთარ სახელთა არაერთ თანესებურებას სწორედ უნივერსალურობის თვალსაზრისით წარმოაჩენს.

მითონიმები⁹ ორგანულად უკავშირდება ხალხის სულიერ კულტურას. თვით „ინტერნაციონალური მითონიმებიც“ კი ყოველი კონკრეტული ერის სულიერი ცხოვრების შესაბამის უბანს უკავშირდებიან. მითონიმებს მდიდარი დერეფაციული შესაძლებლობები აქვს.

მითონიმები და მათი დერივატები ადვილად განიცდიან აპელატივაციას. განზოგადების, აბსტრაქტიზმის უნარი აქვს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო მითონიმებს, მაგრამ მათი გავრცელების არეალი და ხმარების სიხშირე დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რანდენად დიდი საკომუნიკაციო ჯგუფისთვისაა ისინი გასაგები.

ცხადია, საერთო მოხმარების აპელატიურ ლექსიკაში შედწევა და დამკვიდრება გააპელატივებული ონიმისათვის მხოლოდ ნაშინაა შესაძლებელი, როდესაც „საერთო მომხმარებელი“ მის ონომასტიკურობისდროინდელ სემანტიკას იცნობს და გაიზრებს, ეს უნარი კი უფრო ხეპირი ტრადიციით დამკვიდრებულ, „ხალხური ეტიმოლოგიით“ დატვირთულ სახელწოდებებს აქვთ. ხოლო ესენი უმეტესად ეროვნული მითოლოგიიდან აღებული საკუთარი სახელებია და არა ინტერნაციონალური. ტრადიციულ, ხალხურ იდიომატიკაში, საზოგადოდ, ფოლკლორში ეროვნული მითოლოგიური სახელებია გავრცელებული, ხოლო მხატვრულ ლიტერატურაში ინტერნაციონალური მითონიმების, საერთოდ, ინტერნაციონალური ონიმების გააპელატივების სიხშირე საკმაოდ მაღალია.

სიმბოლოების, საზოგადო სახელის მნიშვნელობით ნახშიარი მითოლოგიური ონიმების მეშვეობით გადმოიცემა განსაკუთრებული ინფორმაცია, რომელიც მეტაფორული აზროვნების შედეგია. ხშირად ასეთი ონიმები ფორმას სრულებით არ იცვლიან და მხოლოდ კონტექსტის გავლენით მეტაფორიზდებიან ან განზოგადდებიან. ნიმუშები:

არსნი მზედ გზობენ, შვედნი გამოხენ, ვერ მიგვლენ ქებად — სხდენ თვითვე ვინცა შვეცოდა თავის საქნარც, ვენებად! —

პლატონის ენა, დავითის ქნარი...
(ჩახრუხაძე, „თამარანი“).

⁹ მითონიმი — (მითოლოგიური საკუთარი სახელი) — მითების, ეპოსის, ზღაპრების, თქმულებების ონომასტიკურა სივრცის ნებისმიერი სფეროს სახელი. იხ. H. B. Подольская, დსახ. ლექსიკონი... გვ. 83.

არ მოგცემთ ჩემსა სამშობლოს,
ამირანის ხმით მგრგინავი
(ვაჟა, „კახეთს“)

მაგრამ ვინა ხარ? ვინ მოგცა გრძნობა?
ვით პეროსტრატემ დასწვი ტაძარი
(აკაკი, „ილიას მოკელის გამოც“)

...ლადი თარეზი: სილაზის ეშხით
შეებული
ხელმწიფებისთვის ოქროვანი
კოლხეთის ვერძი,

და სისხლი ვმირის: შმაგი რიტმით
ზარზოშებული
(ვრ. რობაქიძე, „საქართველოს“)

და ყოველ საფლავზე, მზის ყოველ
ღეროზე
ხაზებად იწლება ერთსაი.

სიონი — მთაწმინდად, გეგუთი —
გელათად
არაბთა თვალეზი, ქცული ელადად
(გ. ტაბიძე, „დაბრუნება“).

...ზის კრეზი ევროპას,
არს ერთს იგონებს მშვენიერ ელენეს,
მრავალი ძვირფასი ასსოვს ასპაზია

(გ. ტაბიძე, „აღმოსავლეთი“).
აგერ: მილაერი და ტიტანი
მოჩანს კავკასიის ტანი,
მიჯაჭვული აქ იყო და
აქ აეშვა ამირანი.

(გ. ტაბიძე, „მთეარის
ნაამბობიდან“)

და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს სახლებიას — ჭადარის ჩრდილი
ავტომობილის მჭექავ სიჩინოზს
სჯობს უსათუოდ ურქული ტკბილი
(ვ. ვაფინინაშვილი,
„სოფლისაკენ“)

შეჭყუდება ცას ტიტანივით
და გლუტჩერების გასარკულ ფარებს
უზარმაზარი მკერდის განივი
მედგრად ახვედრებს მზესა და ქარებს
(კ. კიჭინაძე, „კავკასიონი“).

ე. წ. ინტერნაციონალურ მითონიმებში აპელატივაციის თვალსა-
ზრისით ყველაზე გავრცელებულია ძველბერძნული საკუთარი სახე-
ლები (ამ მხრივ პირველ ადგილზეა ანთროპონიმები, შერე ტოპონი-
მები და შემდეგ სხვა დანარჩენი)¹⁰, მაგრამ მასალა, ცხადია, მხოლოდ
ბერძნული მითოლოგიით არ შემოიფარგლება:

მოსკვდს მეწყერი.. და მიწაც იძრას,
მოვარდეს წარღვნის, წვიმების თქში,
მოგმა ლურსმნით დაწერილია
და გადარჩება ეს „გილგამეში“
(ტ. ტაბიძე, „ლავარდი ლავარდს“)

ეს გილგამეში და ეს ბიბლია,
სოციალიზმის შენების ტემპი...
მესმის უწყვალო კრიტიკოსის ხმა:
—შენ, ძნაო, მაინც ძველ გზებზე
სტკეპნი

(ტ. ტაბიძე, „და ავტოდორი დიდ
უდაბნოთა“).

ანთროპონიმული წარმოშობისაა მეტაფორიზებული, გადააზრ-
ებული ლექსემები, რომლებიც ფორმოზრივ უცვლელია:

ვაჟაკობა არც შენ ვიყვარს,
გერც აიღებ, ვგონებ, შენ ყარსს,

¹⁰ ქართულ სინამდვილეში განსაკუთრებით პოპულარულია ის ძველბერძნული
მითონიმები, რომელთაც კავკასიასა და საქართველოს უკავშირებენ.

სიტყვით სამსონს, საქმით საპყარს,
ამ ზოლო დროს სიტყვათ ვიყავს.
(აკაკი, „პარაბუხა ლენერას“).

ცხადია, სემანტიკური გადააზრება ონიმისა მთელი კონტექსტის მეშვეობით, ან — უფრო ხშირად — რომელიმე აპელატიური ლექსემის უშუალო ზემოქმედებით ხდება. ასეთ დროს აქტიურად გამოიყენება ზედსართავები: **ახალი, ნამდვილი, რიცხვითი სახელი მეორე... ნაცვალსახელი იგივე... და სხვ.**

გემი „ილიჩი“ დაღვა სოჭაში,
რითი არ არის ახალი „არგო“.
მოგონებების ვიზრობი ჭაში,
მინდა ამ გრძნობას ლექსი მოვარგო.
(ტ. ტაბიძე, „ქართლის ცხოვრება“)

აქ ვარძის მკვიდრ სავანეს
ტბა ანათებს თავფარავნის,
მთა მრავალი ამირანის,
მრავალ საუკუნის სვეტი.
(გ. ტაბიძე, მესხეთ-ჯაბახეთი“).

მოვლენა, რომელიც აპელატივაციად იწოდება, წარმოადგენს ონიმიდან აპელატივში „უქვალოდ“ გადასვლას. ახლად წარმოქმნილ „სემანტიკურ ერთეულებს“ ონიმური ბუნება თან გადაჰყვებათ და, ამასთანავე, ისინი, საზოგადო სახელთა მსგავსად, მოხმარების არც იფართოებენ.

გააპელატივებული სახელები ვანვითარების იმ საფეხურს ასახევენ, რომელზედაც საკუთარი სახელი მაქსიმალურად კონკრეტდება, — იმ აზრით, რომ აღსანიშნი ობიექტის ერთადერთი თვისების აღმნიშვნელად ვაიზრება და ამ მდგომარეობიდან „გარდაიქმნება“ აპელატივად. ცხადია, საკუთარი სახელების ეს უნარი, დაივიწყრონ, დაიკონკრეტონ მნიშვნელობა, უქმნის მათ გარკვეულ სემანტიკურ ფონს, რაც იძლევა ნათი გააპელატივების შესაძლებლობას (მაგ., **თამარობს** უკვე კონკრეტული თამარის — **თამარ მეფის** აბსტრაქტიზების გზით წარმოებული ზმნა).

მაშასადამე, ამ შემთხვევაში საკუთარ სახელთა სემანტიკური „სიკარიელის“, ინერტულობისა და ფორმოზრივი პასიურობის შესახებ მსჯელობა გადაჭარბებულია...

საკუთარი სახელი, მიუხედავად გარკვეული კონსერვატიზმისა და მეტ-ნაკლები ფორმოზრივი სიმყარისა, გრამატიკულად საკმაოდ აქტიური და ვარიირებადი, დროსა და სივრცეში ცვალებადობის უნარის მქონე სახელია, რომელიც მონაწილეობს სახელისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა ენობრივ პროცესში. ესენია: აპელატივაცია, ტერმინოლოგიზაცია, ფრაზეოლოგიზაცია... ეს კი საკუთარ სახელთა გარკვეულ დინამიკურობაზე მიუთითებს.

აპელატივაცია შეიძლება განიცადოს ნებისმიერი ონომასტიკური ქვეჯგუფის ერთეულმა (ანთროპონიმმა, ტოპონიმმა, პრაგმონიმმა...),

მაგრამ მიღებული აპელატივი მუდამ ერთი და იმავე ფუნქციით არ გამოიყენება. არც ფორმოზობრივი თვალსაზრისით მიმართავენ ყოველთვის ერთსა და იმავე ყალიბს (თუმცა სტრუქტურულად მაინც დამინცდამინც მრავალფეროვანი ყალიბებიც არა გვხვდება).

როგორც აღვნიშნეთ, თნიმი შეიძლება ისე განზოგადდეს, რომ ფორმა სრულიად არ შეიცვალოს. შეიძლება იგი გააპელატივდეს, გახედსართავდეს, გაზმნაუდეს... შევიდეს ფრაზეოლოგიურ შესიტყვებაში, მეტაფორიზაცია განიცადოს და სხვადასხვა სტილისტოკური ელემერი შეიტანოს ენაში.

ქართველთა ცნობიერებისათვის ძალზე ახლობელი ქრისტიანული აზროვნება კარგად გამოიკვეთა ძველსა და ახალ აღთქმასთან დეკავშირებულ თნიმებში, რომლებიც განსაკუთრებით საქართველოს ისტორიული სვე-ბედის ერთგვარ სიმბოლურ გამომხატველებად და მის ცოცხალ ილუსტრაციებად მოგვევლინენ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში.

თვით იმ საკუთარ სახელთა აპელატივაცია, რომლებიც უხვადაა ნასაზრდოები ქრისტიანული სამყაროსათვის ახლობელი და მისაწყდომი ინტერნაციონალური ლექსიკით, ერთნული ნიშნით აღბეჭდილ კონტექსტებში ხორციელდება, რაც სათანადო ნიუანსების გაძლიერებასა და დამკვიდრებას უწყობს ხელს. ამ ეფექტს ქმნის **სამშობლოს, საქართველოს, ქართლის, ქართველს** ცნებათა დეკავშირება ბიბლიურ საკუთარ სახელებთან (**გოლგოთა, იუდა ისკარიოტელი, კაენი...**) — როგორც ტოპონიმებთან, ისე ანთროპონიმებთან.

და მთელ ქართლში რომ გამოჩნდეს
მოლაღატე ერთი-ორი,
მსგავსი ისკარიოტელის
და იუდა ისკარიოტელის...

(აკაკი, „ილიას მოკელის ვამი“)

არა, ასეთ შვილს არ შობდა
ჩემს სამშობლოში ქართველი
და თუ წარმოშვა, ის არის
იუდა ისკარიოტელი.

(ლ. მგალობლიშვილი, „სპარსეთში
დატყვევებული“)

შემს ძვირფას სახელს ამ ტირილში მე
არ ვეხები,

და ვარ კაინი ვით გამოზილი...

(ტ. გრანელი, „შემს ვაქცევს“)

შენ,

შენ დაეცი იმ წელს, და იმ მთაზე დაიწვიო — როგორც მთა და — სააკაძეს ხმლით

გაუკეთავს

(ტ. ტაბიძე, „თბილისი“)

როცა საქართველოზე
კაენის სულის აღზევებამ
გადისრილა.

(ირ. აბაშიძე, „პაოლბ იაშვილს“)

მოსეს მახეილად, არონის კვერთხად
ბელთ მისცა ჩხელთ უმანეთ ქნარი
და უსაუპის წილ სიმებს ასხურა
შეზავებული თაფლ-ნაღველ-მწარი.

(აკაკი, „მგოახნი“)

სამოთხე საქართველოა,
მოწამე ნინოს ხატია,
ნოეს ძევიც ბო იქვეა,
დიდი მთა არარატია

(იეთიმ გურჯი, „საქართველოს“)

თათრების სისხლით მეწამული გამსდარა
მტკვარი

და როგორც მთა და — სააკაძეს ხმლით

გაუკეთავს

(ტ. ტაბიძე, „თბილისი“)

არ ვიხილავ ჩემს სამშობლოს
გო ღოთ ა ზე ჯვარცმულს, ვნებულს
(ი. გრიშაწვილი, „საქართველოს“¹¹).

ონომასტიკურ სახელებს უტოლდებიან ისეთი შესიტყვებებიც, რომელნიც თავისთავად ონიმური წარმოშობისა არ არიან, ან რომელთაც შესიტყვების მხოლოდ ერთ კომპონენტად აქვთ საკუთარი სახელი. ასეთ სინტაგმებად ფორმდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მეტ-ნაკლები სიხშირით იხმარებიან ერთად და, თანდათანობით, არა მარტო სტრუქტურულ, არამედ სემანტიკურ გავლენასაც ახდენენ ერთმანეთზე, ასეთ სინტაგმებს „შერეულ“ შესიტყვებებს“ უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ამგვარ სინტაგმების თითოეულ წევრს ერთმანეთს მიმართ მეტი სემანტიკური ძალა აქვს, ვიდრე ექნებოდათ სხვა რომელიმე ლექსემის მიმართ ცალ-ცალკე აღებულთ¹².

ქართულ ენაში ასეთ „შერეულ“ შესიტყვებებად გაფორმდა რამდენიმე ლექსიკური ერთეული, რომლებიც გარკვეული ექსტრალინგვისტური ფაქტორების ზეგავლენით შეკავშირდნენ (ასეთებია: **სამასი არაგველი, ცხრა ძმა ხერხეულიძე** და სხვ.).

ამ ტიპის შესიტყვებებში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ჯგუფი:

ა) მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, საზღვრული კი — ანთროპონიმი, ეთნონიმი, წარმომავლობის სახელი და სხვ.:

„ჩენი ვიყავით განა ბევრნი,
მტრებს ვინც ასკურ მივუზღეთ,
ის სამასი არაგველიც,
ცხრა ძმა ხერხეულიძეც“.
(მ. კახიძე, „ახალგაზრდული“).

ბ) ამგვარ შესიტყვებათა სინტაგმური წყობა არ არის მაინცა და მაინც მყარი. მათი კომპონენტები ხშირად იცვლიან თანამიმდევრობას, რიცხვს, ზოგჯერ იკარგება ან ემატება რომელიმე კომპონენტი... ეს კი ამგვარ შესიტყვებათა „ონომასტიკურობის“ დაბალ ხარისხზე მიუთითებს.

გ. წ. „შერეული“ სინტაგმები შეიძლება დაიშალოს და მხოლოდ ერთი წევრით გადმოიცეს სასურველი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში საჭირო ხდება საკომპენსაციო ლექსემის (ეპითეტის) დართვა:

¹¹ ამ რიგიდან ერთგვარად ამოვარდნილია „სილატეს ცრემლი“ (ცრემლები) არცის აღსანიშნავად: „შეიპატივა გზირი დუტანში, თანაც ორი ქიქა პილატეს ცრემლი გადააცეხლა“ (გ. ბარნოვი).

¹² А. А. Тарапенко, Языковая семантика в ее динамических аспектах, Киев, 1989, с. 154.

აპა, ცხრა ძმანი, სახელგანთქმულნი
ძმანი გულითად შეთვისებულნი
(გრ. ორბელიანი, „სადღეგრძელო“).

განკერძობულგანსაზღვრებიანი კონსტრუქციისათვის ამოსავალია
შესიტყვება ცხრა ძმა ხერხეულიძე.

აი, სამასნი გმირები დუშეთით თბილისს მოსულნი
მეფის შეწევნად, და მის წინ, მასთვისვე შეფიცებულნი
(გრ. ორბელიანი „სადღეგრძელო“).

სანთლად სამასად იღვწებოდა გმირი სამასი
ვეღს კრწახისისას ზნე შესძინა ვინც კანობუსის...
(მ. მჭავარიანი, „სვეტიცხოველში“).

გ) „შერეული“ შესიტყვების. ერთ-ერთი კომპონენტის დაკარგვის
სას ზოგჯერ იყენებენ ნაცვალსახელებს, რომელთა მეშვეობით და-
კარგული წევრის ფუნქციით სხვა ლექსემაა წინ წამოწეული:

აპა, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?
შენს სამასს შეიღზე ხომ არა დარდობ?
გყავდა და თითქოს არა გყოლია!
...ში, არაგვო, გვიამზე მაინც,
შენს სამასს რაინდს
თუ არ უმღერდი
(კ. ნადირაძე, „წიწამურიდან
საგურამომდე“).

ყველა ამ მაგალითში ამოსავალია სინტაგმა სამასი არაგვე-
ლი.

ონიმიზაციის გზით დროის აღმნიშვნელი აპელატიური შესიტყვე-
ბის სიმბოლური ხმარების მაგალითებია: „ორასწლიანი მონობა“, „სა-
მოცდაათი წელიწადი“, „ასი წელი“ (XIX საუკუნის ლიტერატურაში)
და სხვ.:

და აღარ ხარ, რაც იყავი:
ჰმებში, სჭენები ნელა-ნელა,
ათასის წლის ჭირნახული
„ასმა წელმა“ მოგინელა
(იაკვ, „ჩაფიქრება“).

ონიმიზაციის პროცესს აქ ხაზს უსვამს ავტორის მიერ სათანადო
შესიტყვების ბრჭყალებში ჩასმა.

განსაკუთრებით დამახასიათებელია „შერეულ“ შესიტყვებათა
ხმარება მსაზღვრელ-საზღვრულის სახით, სადაც მართულ მსაზღვრე-

ლად გამოიყენება საკუთარი სახელი — ჩვეულებრივ, ანთროპონიმი, ხოლო საზღვრულად — აპელატივი. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამ შემთხვევაში კონკრეტულად მხოლოდ საკუთარი სახელით კი არ არის შეპირობებული, არამედ აპელატივითაც, ვინაიდან მასთან მყარი (და, როგორც წესი, დადებითი) ასოციაციაა დაკავშირებული. ასეთებია: **თამარის ტაძრები, ძვლები ირაკლის, ქუხილი ბარათაშვილის, ვაჟას ხარი, ვაჟასვე ნუკრი, ბესიკის ბაღი, სარაჯიშვილის ხმა, კახაბერის ხმალი** (რომელიც თავისთავად მყარ გამოთქმადაა ქცეული)...

ამათგან ზოგი აპელატივი თუ საკუთარი სახელის დენოტატის თვისებასა თუ ნამოქმედარს აღნიშნავს (**ტაძრები, ხმა, ქუხილი**), სხვა აპელატივები მწერლის კარგად ცნობილი ნაწარმოებებით (სათაურით, პერსონაჟებით...) საზრდოობს (ბენიკის „სევდის ბაღი“, ვაჟას „შვილის ნუკრის ნაამბობი“ და მისთ.).

მე დადიოდი, როგორც შამილი,
მერმისის ფიჭვი კვალდაკვალ მსდევდა —
და იზრდებოდა გულში შხამივით
ბენიკის ბაღში გაზრდილი სევდა.
(ი. გრიშაშვილი, „გენოსელების ზედი
ზებილის ბაზარზე“)

არ ვესურს ვაჟას ნორჩი ნუკრი
კვლავ სისხლან ბაღებს ძოვდეს...
(ი. გრიშაშვილი, „საქართველო“)

ვაგიკვირდება, ლექსს რად არ
შველის, —
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ
ხარახად, —
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მოიდან ყვირილი ვაჟას ხარისა
(ალ. აბაშელი, „ნოე ჩხაკაძეს“)

...ყოველგან უჩუმრად ტირიან დანაკლისს
თამარის ტაძრები და ძვლები
ირაკლის
(გ. ტაბიძე, „დაბრუნება“)

მუხებს ჩობათ საქილეში
ჩაუწყვიათ რკობი,

აქ არ სენას ნაბდის გაშლას
გრძნობენ მიდამოები.

თითქო კვდებოდა თბილისის ღამე,
სარაჯიშვილის ხმებით

სტიროდა
(ტ. ტაბიძე, „თბილისის ღამე“)

მაგრამ გათვლავს ამ კვლევას და ღრეს
ბარათაშვილის მეტრანის ნალი.

(ტ. ტაბიძე, „ნუხრანის ველზე
სათქმელი ლექსი“)

დღესაც ქეითივით სტირიან ცაში
ვაჟა-ფშაველას ღვია და დეკა
(ტ. ტაბიძე, „გომბორის მთაზე“)

არ ვიცინო განა, განა არ ვიხარო?

აწ ბუღეში გძინავს, კახაბერის
ხმალი!

(მ. ვარშანიძე, „პირიმზე“)

შენ თავად იყავ ფშაველ ვაჟას
ბრძენი მინდია,
იღუმალთწვლომით მინდიაზე იყავ
უმეტეს...

(ნ. კოსტავა, „ღირს მამა დავითს“)

როგორც ვხედავთ, ონიმურმსაზღვრელიანი აპელატივები დაკონ-
კრეტებისას მეტაფორულ შესიტყვებად იქცევა.

მაგრამ, ამასთანავე, საკმარისია საზღვრულ საკუთარ სახელს
მსაზღვრელად აპელატივი მოეგლინოს, რომ მოხდეს განზოგადება
(გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აპელატიური მსაზღვრელი თვი-

რონ შედის საკუთარი სახელის შემადგენლობაში, თნიმური შესიტყვების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს).

საერთოდ, ანთროპონიმები აპელატივაციის უნარით ბევრად აღემატებიან ყველა სხვა ვაგუფის თნიმებს.

ქართული ლიტერატურის ხანგრძლივმა ტრადიციებმა — განსაკუთრებით, საერო მწერლობის სფეროში — მოგვცა დიდოსტატების ხელით დახატულ ლიტერატურულ გმირთა საკმაოდ მდიდარი გალერეა. ამ პერსონაჟთა შორის რამდენიმე მაინც ძალზე პოპულარულია (რასაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თვით ნაწარმოებთა პოპულარობაც) და აშკარად გამორჩეულია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებებით, რონელთა გამო სათანადო ანთროპონიმებმა უკვე საზოგადო სახელებში გადაინაცვლეს.

საკუთარ სახელთა აპელატივაციის ერთ-ერთი ეფექტური ხერხია მათი გამოყენება შედარების შემცველ კონტექსტებში. ეს არ არის შემთხვევითი, რამდენადაც ეს პროცესი გულისხმობს შესადაარებელი ობიექტის არსებითი თვისების გამოყოფას, რაც ხორციელდება საკუთარი სახელის სიმბოლიზაციის მეშვეობით, და ამ თვისების საფუძველზე ორი საგნის (პირის...) შედარებას:

როგორც ავთანდილი შენ იყავი, მეც იმისთანა შერმადინობა გავიწიე (ილია, „ვლახის ნამშობი“).

აქ იგულისხმება, რომ არა მარტო ავთანდილისა და შერმადინის სახელები, არამედ მათი ურთიერთობის ძირითადი არსიც სავსებით გასაგებია მკითხველისათვის — მით უფრო, რომ ილია სწორედ მთელი ქართველობისათვის წერს, და არა სავანგებოდ მომზადებული ელიტისათვის.

მე, თუ ვინდა, თვიც მომპრან, ტანი ვახდეს ვასაბერად,
ვინ არა ჰვავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.
(დ. გურამიშვილი, „დავითანი“)

ნაქებ შირაზის ვარდის მავიერ
ქვათა მუსიკის გავხდი საადი
(ტ. ტაბიძე, „სომხეთში“)

ბალები უცქერიან ამ ბერიკად მორთულა დონკიხოტსა და ქებადიდებს მოსაპიან (ილია).

მე ვავკასის ქედები მთხოვეს,
მე მთხოვეს მუსიკა თერგის ჩსაურის,
ფუსმინო ყაზბეგს — ხეცის მეთხოვედნს
ავუგუნება კაიშაურის
(ტ. ტაბიძე, „ღრუბლები ძაღვთან“)

სიმბოლიზაცია განზოგადების აუცილებელი საფეხურია: საკუთარი სახელი, როგორც ამა თუ იმ თვისების სიმბოლო, თავს უყრის

იდეტური არსებითი ნიშნებით გაერთიანებულ ინდივიდებს და ახდენს მათს გენერალზაციას. ასე, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიდან **ტარიელი** სიმამაცის სიმბოლოდაა ქცეული, **ავთანდილი** — სიბრძნისა და მეგობრობისა, **ასმათი** — ერთგულებისა, ილიას **ლუარსაბთათქარიძე** — მცონარობისა, მიხეილ ჯავახიშვილის **კვაჭი კვაქანტირაძე** — გაქნილობა-გაიძვერობისა და ა. შ.

ამიტომ შემთხვევითი არც ის არის, რომ საზოგადო სახელად ქცევის შემდეგ საკუთარი სახელი ხშირად აბსტრაპირების სხვა საფეხურებსაც გაივლოს. ეს საფეხურებია: განედსართავება (**კვაჭური, ავთანდილური**), გახმნავება (**ტარიელობს...**), აბსტრაქტულ სახელად ქცევა (**თათქარიძეობა**).

აქტიურად გვხვდება აპელატივაცია ტოპონიმებშიც. აქ მიკროტოპონიმთა, ლოკალური სახელების აპელატივაციის შემთხვევები ძალზე იშვიათია, უმრავლესობას დიდი და ამიტომ უფრო ბოპულარული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები წარმოადგენს, თუმცა, ცხადია, გამონაკლებებიც არსებობს. მაგალითად:

ეს არ შეუვნის საქართველოს — კავკასიის საფრანგეთს
(ტ. ტაბიძე, „ფრანტებზე“)

ვეჯაცობა არც შენ გიყვარს,
ვერც აიღებ, ეგონებ, შენ უარსს.
სიტყვით სამსონს, საქმით საყვარს,
ამ ბოლო დროს სიტყვეც გიყვარს
(აკაკი, „ხარაბუხა ღენერალს“)

აქედან გავკარ იხარო,
ბაბტრონს შეუძარ ფიცარი
(ხალხური).

მიკროტოპონიმებისა და ქტემატონიმების მიჯნაზეა ზოგი სახელწოდება, რომელთაც აგრეთვე აქვთ განზოგადების უნარი:

ევ არის და გორის ციხე.
(ხალხური)

აკიბულსა კიბესა, მალა როსტომის ციხესა,
შევა ლომი და შესახებს, შეაყრევიანებს ჩინხლებსა
(ხალხური)

ამავე რიგისაა მიკროტოპონიმი იდიომში: „ჩაილურის წყალი დალია“ (თ. სახ.).

თუ ერთობის შემოღება ჩაილურის წყალი დალია, სამაგიეროდ სლოგო-ჩინსკიმ დააკმაყოფილა საზოგადოება...

(დ. კლდიაშვილი, „ჩემი ცხოვრების ვზაზე“).

ასევე:

„იმელი“ ყოფილი წინაბის ძირისი მუხის კარების დაწვა და შტურხით აღება, თითქოს ზამთრის სასახლე იყოს? („კაბად.“).

ონიმების აპულტივაციის ამგვარი მაგალითები ძალიან ბევრია ქართულ (და არა მარტო ქართულ) სინამდვილეში. და ასეთ შემთხვევებში, კონტექსტის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. კონტექსტის შეშვეობით კეთდება საჭირო აქცენტები მოცემული სახელის სემანტიკაზე. კონტექსტივე მიგვითითებს რომ ეს აღარ არის ჩვეულებრივი ტოპონიმი, ან ანთროპონიმი, არამედ ამ ტოპონიმთან (ანთროპონიმთან) დაკავშირებული კონკრეტული მოვლენის, ფაქტის... შეხსენება. ეს ლექსემა, მაქსიმალურად ზუსტი სემანტიკის წყალობით, მკითხველშიც ზუსტ ასოციაციას იწვევს. ამ მხრივ ბადალი არა ჰყავს რუსთაველს.

შეიძლება ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორსა და მის სამყაროს ქართველი მკითხველის ცნობიერებაში უპირველესი ადგილი უკავია განზოგადების ძალის თვალსაზრისით. პოემისა და მისი გმირების უდიდესი პოპულარობა იმის საფუძველს იძლევა, რომ არა მარტო მის პერსონაჟთა სახელების განზოგადება, სემანტიკური აპულტივაცია მოხდეს, არამედ აგრეთვე ქტემატონიმთა ან სიტუაციების ამსახველი ლექსიკისაც:

მავრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიეღებებს ვლახ-ვულსა,
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარემოცულსა
ვეფხომ ფრიდონს და
ავთანდილს,
მხარი-მხარს მოვსცეთ, ხელი — ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!
„ამბოზა: ფრიდონ და ავთანდილ
ჭერ ვერ გადიხდის ომსაო!...
და შენც ტარიელს მოჰგავხარ
ისე ვით კატა ლომსაო!
(აკაკი, „ჭაღარა“)

რომ ქართველი ქართველ გმირად
გამოზრდიდეს წვილიწვილსა!
(აკაკი, „სიზმარი“).
ანდა:
გუმავრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა!
გშენის ნესტან-დარეჯანი.
მაგალითი... მზეობა.
ტარიელი დაგეძებს,
გავარდნილი დღეს ველოდ.
ავთანდილიც ფრიდონით
წოდის გამოსახსნელად
(აკაკი, „სატრფოს“).

გიანდერძებთ საქმროდ ყველას
ტარიელს და ავთანდილსა,

დამახასიათებელია, რომ სწორედ XIX საუკუნის ქართულ აზროვნებაში გააქტიურდა „უძლიეველი ქაჯეთის დაძლევის“ თემატიკა (თუმცა ეს თემა არც უფრო ადრინდელი ლიტერატურისთვისაა უცხო):

ზღაღას ვაგრძელებ, ვაგზავნეს ქვეყანას შირაზისას,
ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ვედრებდა მზისას
(თეიმურაზ I, „წამება ქეთევან დედოფლისა“).

„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ასეთი გახშირებული გამოხმობა არა მარტო კრწხურისათვის თვალის ასახვევად, არამედ თანამედროვეთა ფსიქოლოგიურად დასამუხტავადაც იყო ალბათ საჭირო:

რომ ჩემს მუერით აგზნილი
რაყიფი ტარეღობდეს;
ქაჯთა ვბრძოდეს ლომ-კაცი,
ნესტანისათვის ხელობდეს!
(აკაკი, „რუსთველის სურათზე“).

„ვეფხისტყაოსნისა“ და მისი პერსონაჟებისადმი ინტერესი მეოცე საუკუნეშიც გრძელდება და საკუთარ სახელთა სიმბოლიზაცია ახლაც აქტიურია.

შემა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
აიმართნენ კოშკები
ცისა და ნესტანისა
(გ. ტაბიძე, „ეს მშობლიური ქარია“)

ამოძრავდეს მთა და ჯედი, გამაბრწყინდეს ქართლის ბედი,
ახმაურდეს ვეფხი შეტი, შეტის ძალით და იწედიოთ,
დღეგრძელობდეს მესხი, თან ის მესხი უახლოეს ხანის,
მესხი „ვეფხისტყაოსანის“, მესხი მესხეთ-ჯავახეთის
(გ. ტაბიძე, „მესხეთ-ჯავახეთი“)

არ დაიღლება მისი ტუჩი კოცნით არასდროს,
სულაც მიინდობს, რომ ლალატი შემიდეგ დაღადროს.
მისთვის ერთია ჩაჩნაჯირი¹³ და ავთანდილი
(ტ. ტაბიძე, „ფატმან-ხათუნი“)

რაც თქვი, აღარ ვადოტევა,
ტყავი ვანიხლევ ვეფხვის,
სხვას არ ანდო ვარდაქმნა
„ვეფხისტყაოსანის“ ქვეყნის
(ო. ჭელიძე „ალმერთებზე სპართელოს“).

13 ამ ლექსემის თავისებური ფონეტიკური ცვლილებაც გარკვეული დამოკიდებულების შანვენებელია სახელწოდების თბიქტისადმი. საერთოდ, არცთუ ცოტა თანამთა ტრადიციული ფორმის ცვლის შემთხვევები: „აწ მოვასენებ, რუსთველო, რაც ჩემი სიტყვა არისა ნესტანჯარ ესრეთ გიქია, ართუ სხვის შესადარისად“ (თეიმურაზ II, ვაბასება რუსთველთან), ან: „თანდილა ბიჭი — სახელი „ვეფხისტყაოსნის“ გმირის, ავთანდილის, რომელიც განთქმულია სიყოფილით“ (თ. საჩოკია).

განსაკუთრებით ექსპრესიული და გამომსახველი, სახიერია თავით რუსთაველის სახელი, რადგან მისი აბსტრაქციზმის, აბელატივაციის „კოეფიციენტი“ ყოველთვის მაღალია, ასოციაცია კი — დადებითი, გარდა იმ თითო-ორთა შემთხვევისა, როდესაც სიტყვა რუსთაველი „ცენტრში“ (ე. ი. მოსკოვში) უარყოფით კონტექსტში იქნა მოხსენიებული (სსრკ-აშშ-ის ერთობლივი ფილმის — „წითელი სიციხის“ უარყოფითი პერსონაჟის გვარია რუსთაველი). ალბათ, ამგვარი „ექსპრესიული დისკომფორტის“ ასარიდებლად, რომ ქვეცნობიერად რუსთაველის რიგითი მკვიდრის უშუალოდ რუსთაველად მოხსენიებას ერიდებოდნენ და ამ მნიშვნელობას აღწერითად — თანდებულებით კონსტრუქციით გამოხატავენ (მდრ.: თბილისელი ვარ, მაგრამ რუსთაველი ვარ, თუმცა შესიტყვებაში მსაზღვრელად დერივატიული ფორმა დაუბრკოლებლად იხმარება: რუსთაველი მეტალურგები, რუსთაველი მეფოლადეები და სხვ.). მაგ.:

...და გავვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა
(გრ. თრბელიანი, „თამარ მეფის
სახე ბეთანის ეკლესიაში“)

მიწა მსუქანი სისხლის დაღვეით
შენ შეგვათვისე — იმედისი,
და გულში გივლის მკვიან ალივით
შენ რუსთაველის შერიდისანი
(პ. იაშვილი, „დაცემულ ბათუმს“).

ქართველისათვის განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა ჩვენი ქვეყნის იატორიისათვის გადაშწყვეტ მომენტში მოღვაწე პირთა სახელებმა და უდიდესი მნიშვნელობის მქონე შოვლენათა აღმნიშვნელმა ლექსებებმა და შესიტყვებებმა (მაგ.: ფარნავაზი, ვახტანგი, დავითი, ქეთევანი, ერეკლე — პატარა კახი... დიდგორის ომი, ასპინძა, მარაზბდა, კრწანისი..).

სიმრავლე?
აბჯარი?
რა ბრძანე?
რას ბრძანებ?
ვახედე მარაზბდას,
ვახედე ასპინძას,
ვახედე ბასიანს,
ვახედე ბაზალეთს!
(მ. შაქავარიანი, „ქართველი
ბრძოლაში ვინ ბრძანა აზიზი“).

ზოგჯერ სხვადასხვა დროის ორ მოღვაწეს, ორ მოვლენას უჭირისპირებენ ერთმანეთს, რათა ხაზი გაესვას ებოჯათა შორის სხვაობას, კონტრასტს. ამ მხრივ საყურადღებოა „ყველაზე წარმატებული ომის“ — დიდგორის ომისა და ყველაზე წარუმატებლის (ყოველ შემთხვევაში, XIX და XX სს-ის ქართველის აზრით) — კრწანისის ომის ერთმანეთის გვერდით მოხსენიება:

დიდგორისა ველო, —
ახლა ცრემლის მგვრელი,
კრწანისისა ველო, —
ღღესაც გულსმკვლელო,
მთელი საქართველო, —
სასოებაჲ ჩენო...

(მ. მაჭავარიანი, „მიწაჲ ჩემო“)

და როცა ამბობს: „გაუმარჯოს ახალ
წელს!“

იმ დროს
ხედავს სტალინგრადს, ხედავს მოსკოვს,
ვოლგა-დონს ხედავს,
და პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა,
კრწანისს და დიდგორს!

(მ. ლებანიძე, „რეპორტაჲი
ახალგაზრდა მწერლებიან საახალწლო
სუფრიდან“)

ამავე განწყობილების გამოთხილია ამ ორ ომთან დაკავშირებული ორი მოღვაწის შევირისპირებაც:

პირზე ღიმილი ახმება გელათს,
თვალეზა ცრემლით ვესება ხანძატს:
ვერ იდავითა პატარა კახმა!
ვერ იდავითა პატარა კახმა!
(მ. მაჭავარიანი, „ლხინი ალაზნის
პალაში“).

კრწანისის ომის სიმბოლიზაცია მის შემდგომ მომხდარი მოვლენების გააზრების შედეგად ხდება. ალა-მაჰმად-ხანთან ქართლ-კახეთის მეფის ერთკვლე მეორის დამარცხებას მალე მოჰყვა საქართველოს დემოუკიდებლობის დაკარგვა. ამ მოვლენათა ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებას (კერძოდ, კრწანისის ომისა და დემოუკიდებლობის დაკარგვის თარიღთა გაიგივებას) ქართულ ლიტერატურაში დასაბამი მისცა ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისამ“.

კრწანისის ველი! კრწანისის ველი!
რა საგულისხმო ვასაგონია?!
გმირთა კალო, სისხლით მორწყული,
და ერიც მისთვის თავმომწონეს...
(აკაკი, „თერთმეტი ენკენისთვე“)

და ერის ტანჯვის გამოსახველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი:
ერთი ნაღველის ორა სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი
(ალ. აბაშელი, „შორეული ნაირი“)

სად წავალ! ჩემი სამშობლო ამ ქვეყნის იქით სად არის?
აქა მყავს სატრფო გულისა, ჩემი სიცოცხლის სადარი, —
აქ არის ჩემი კრწანისი, ეროვნულ კუბოს სადარი.
(განდევილი, უსათაურო)

ასევე გადააზრებულია ტოპონიმი **წიწამური**, როგორც ილიას მკვლევლობის სიმბოლიზებული სახე და არა მხოლოდ ადგილის აღმნიშვნელი:

წიწამურიდან გულის კარამდე ერთი გზა პოდის —
გზა სისხლიანი...

(კ. ნადირაძე, „წიწამურიდან საგურამომდე“)

სრულიად ქართლის დატოვა ხორცი
სულმა სპეტაკმა
აქ, წიწამურთან, გავარდა როცა
ბერდანკა!

(მ. მაჭავარიანი, „გასამდა“?)

გულგანგმირული ილია, —

ეტლითურთ, წიწამურითურთ, —
წიწამურიდან პირდაპირ
შებრძანდა უკვდავებაში

წიწამურს მოკვდა ხელასლა
უკვებლოვ ყველა ლომგული,
სადმე, ოდესმე, ვინც იყო
საქართველოსთვის მოკლული

ილია როცა განგმირეს

(მ. მაჭავარიანი, „ილია“).

ციხის მოიწრღვა ქონგური

საკუთარი სახელის გადატანათი მნიშვნელობით ხმარება სხვადასხვა საშუალებით ხერხდება. ონიმით აღნიშნულ პირვანდელ ობიექტთან კავშირზე, მაგრამ ამ ობიექტის ხელახალ გააზრებასა თუ სრულიად ახალი შესაღარბელი საგნის (ცნების, მოვლენის) გაჩენაზე მიუთითებს ონიმთა განზოგადება „დამხმარე“ ლექსემებით (**ახალი, მეორე, სხვა, ნეო-** და სხვ.) ან სათანადო აფიქსებით (**-ობა, -იზმ, და მისთ.**).

საკუთარი სახელის დროით შემოსაზღვრის სურვილითაა ნაკარ-ნახევი ისეთი შესიტყვებანი, რომლის მსაზღვრელ კომპონენტად გვევლინება **ახალი**:

ახ, რად არ ძალუმს განცოცხლება წმიდას არდილსა,
რომ გადმოხედო ახალ ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა
(ნ. ბარათაშვილი, „საფლავი წეფის ირაკლისა“)

ამავე რიგისაა ეურნალ-ვაზეთების სახელწოდებები — „ახალი საქართველო“, „ახალი გორი“... ან ანთროპონიმთა შეწყველება დროის აღმნიშვნელ აპელაციებთან:

ვინ იცის, გრძნობენ თუ არა გრძნობით
რომ სულ ახალი დროის ჰამლეტა,

მოკადრებულ ბერუსში მყოფი —
დგება, იღვიძებს აღმოსავლეთი
(გ. ტაბიძე, „აღმოსავლეთი“)

მოქალაქენო!
ანზობს ეორდანი

...
— შეურცხვეს ქალარა...
რუბენ კაქანუნს
(სწორედ ამ სიტყვებით
სწყევლიდა ნოე
ახალ ქამს,
მაგრამ მასავით ჭალარას)

(ტ. ტაბიძე, „ფორტუნა“)

რუსთველი ახალი
თუ გინდა დავით,
ვეფხისტა ახალი,
თუ გინდა ტყავი,—

ჯერ უნდა შენ თვითონ

რწმუნლო ხმალი...

(მ. შავჭავჭავაძე, „პატრონ დავით“)

და პოეზიის ნათელი დროშით
იხავერდება ოცნება ჭრელი,
რომ სხვა მოცარტით და
დეღაროშით

ვიხიბლებოდე მე მენესტრელი.

(გ. ტაბიძე, „სახალწლო ცეცხლი“)

უცხოა როდესაც ჰკოცნი იაზონს
და ზურგზე ისეა
როგორც იაბო...

(მ. შავჭავჭავაძე, „ციკლიდან 1832“)

დროში მომხდარ ცვლილებას, გარდაქმნილი ხასიათის სიახლეს
კარგად ესადაგება სიტყვა „მოდერნიზებულიც“:

...თავისი არსენალი „გამოდირა“ ძველი ბოლშევიკების გამოცდილებით; ჩვენდა
გასოცრად გაჩნდნენ მოდერნიზებული კამოები, სერგოები, სტა-
ლინები და ლენინები („კაბად“).

ასეთივე დანიშნულებით იხმარება ნაცვალსახელები (ამ... და იმ...),
რიცხვითი სახელები (მეორე, მესამე...) და სხვ.

თანამედროვე „პოლიტიზირებულ“ პუბლიკაციებში მოხშირდა პო-
ლიტიკური ტერმინების ანალოგიით წარმოებული საკუთარსახელიანი
ფორმები, რომელთა კონკრეტული სემანტიკაც სხვადასხვა ავტორთან
რამდენადმე განსხვავებულად აღიქმება, მაგრამ ახალ წარმოებათა
მნიშვნელობის მიმართ „ზოგადობის“ განწყობა ყველასათვის საერთოა:

მე ვერ დაეუჯრებ და ვერ ვავყვები ნეოკაპოს... ნეოსტალინის ხელ-
მძღვანელობით. მე ვერ დაეუჯრებ ნეოსერგოს, რომელიც თავის მოწინააღ-
მდეგეს აღიყურით უმასპინძლდება და ტერორით ემუქრება, რათა შემდეგ ეს სა-
ხიზრობა „ნეოოხრანკას“ გადააბრალოს. მე ვერც ნეოლენინს დაეუ-
ჯრებ... („კაბად“).

ქართველი ერი ნათლად ხედავს ანალოგიას იმ სიტუაციას, რომელიც იქმნე-
ბოდა წინაშეობის ტრაგედიაში, შთაუშტეს, რომ დღევანდელ პოლიტიკურ სა-
ზიგლზე ამჟამადებიან ნეოორჯონიკიძეები, ნეომახარაძეები,
ნეობერბიჭაშვილები... („საქ. რესპ.“).

საკურადლებოა, რომ „სხვა“ ყოველთვის დროში სხვას არ გული-
სხმობს, ზოგჯერ მისი მეშვეობით სივრცეში ვადაადგილებს, მოვ-
ლენის, აღსანიშნის ობიექტთან დაკავშირებული კონოტაციის ერთი ად-
გილიდან მეორეში გადატანა მიეთითება: საქართველო — კავკასიის
საფრანგეთი (ტ. ტაბიძე), ყაზბეგი — ხევის ბეთპოვენი (გ. ტაბიძე),

ქართული მოტივი — მეცხრე სიმფონია (გ. ტაბიძე), ქართული რომეო და ჯულიეტა (ი. გრიშაშვილი)...

როდესაც ამა თუ იმ მოვლენის, დროისა და ადგილის ან ისტორიული პირის აღმნიშვნელი სახელი დამკვიდრდება მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის სიმბოლოდ, ჩვეულებრივი აპელაციის შემცველი ონიმიანი შესიტყვება განსაკუთრებულად კერძო შინაარსის სინტაგმად გადაიქცევა:

დროის, ეპოქის აღსანიშნად იქმნება გამოთქმები: **ლენინის, სტალინის... რუსეთი; სტალინის, ხრუშჩოვის... დრო:**

სტალინის დროს: არ არის დმერთი, ვარა ლენინისა, და სტალინისი მისი მოციქულა... (ა. ბაქრ.). ოპ, წყულო სტალინის რუხეთო! (ალ. სიკ.).

დროის აღმნიშვნელი მყარი შესიტყვებები, — ქართულ სინამდვილეში 26 მაისი, 9 აპრილი...:

ცხრა აპრილის გენოციდი უბრეცედენტო მოვლენა მსოფლიო ისტორიაში (ზ. ვამს.).

სიმბოლიზაციის უნარი აქვს ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკასაც. ზოგი ფერი მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთათვის ერთნაირი განზოგადებით აღიქმება და მსგავსი ემოციური დატვირთვაც აქვს. ასეთია ცნობილი „სიმბოლური ფერები“: **ლურჯი** და **ცისფერი** — „ოცნების ფერი“ (იხ. რომანტიზმი და სიმბოლიზმი), **შავი** — რეაქციისა (შდრ. „შავი რეაქციის“ ხანა), **წითელი** — კომუნისტური მოძრაობისა, **თეთრი** — ზავისა... **თეთრი** და **წითელი** მხოლოდ ლიტერატურული კი არა, პოლიტიკური ასპექტივაც ძალზე საინტერესოა. ფერთან დაკავშირებული ლექსიკა განზოგადებისას რამდენიმეგვარად გაიზარება:

ა) ფერი ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის პოლიტიკური კურსის სიმბოლოა:

შიშით ამიტომ შესცქერის რუქას
და გვიღრეს მხეცი უოლსტრიტელი,
რომ ორი ფერი შერჩა ამ რუქას: —
მისი — შავი და ჩენი — წითელი¹⁴.

გ) ფერით ამა თუ იმ პოლიტიკური კურსის მიმდევართა, თუ განმახორციელებელთა აღნიშვნა ხდება. მაგ., „თეთრები“ (შდრ. „თეთრგვარდიელები“), „წითლები“ (შდრ. „წითელარმიელები“...).

საერთოდ, სიმბოლიზაცია „პოლიტიკური ცნებებისა“, როგორც ალევგორიის ერთ-ერთი საშუალება, საკუთარ სახელთა განზოგადების

¹⁴ ციტატი მოხმობილია ა. ბაქრაძის წიგნიდან „მწერლობის მოთვინიერება“, თბ., 1991.

ან, პარიქით, აპელატივის ონიმურით ფუნქციით ხმარების გზით განსაკუთრებით გააქტიურდა სწორედ კოლონიური რეჟიმის პირობებში. ამ მხრივ საინტერესოა იმპერიის სიმბოლურ აღმნიშვნელად აპელატივ „ჩრდილოეთის“ ხმარება საკუთარი სახელის მნიშვნელობით:

ქარან ჩ რ დ ი ლ ო ს მ ა ნ ყველაზედ პარველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ...
(ნ. ბარათაშვილი, „ბედი ქართლისა“).

მაგრამ რას ჰხედავ აწ კრული ჩ რ დ ი ლ ო ს ?
(ნ. ბარათაშვილი, „ძია გ...სთან“)

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ა სსტიკი ჩ რ დ ი ლ ი,
ჰოი, მამულო, სინათლეს ვისპობს;
მხოლოდ ეღბუზი, ლაღად აყრდნლი,
მონუცის თავით წყველიადა ისპობს
(გ. შერვაშიძე, „მამულს“)

დამხსენი, ჩ რ დ ი ლ ო ე ლ ო !
რა მაქვს შენთან საზიარო?
თვით ოზერო, მოუვლელი,
როგორ გიწდა მონიარო?...
(ა.აკი, „ნახალადეგ საქმროს“)

მის ნაცვლად ქარი დამღმუვლებს,
შე ქარი ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ა
(ირ. ევდოშვილი, „ეპ. ალაზანო“)

დღეს კი ქართველი გულში მუღამ
სწყველის,
და სწყველის იმას, ვინც
ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს
ველურ ყაჩაღებს გაულო კარი
თერგდაღეულ დარიალისა
(ი. გრიშაშვილი, „ავლაბარი“)

ჩვენი ჰემზარიტი მზე აღმოსავლეთიდან კი არა, ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ამოზრწუნინდა („კომ.“).

ჩრდილოეთის მარჯვე ფონეტიკური ვარიანტებით („ჩრდილეთი“) ამოსავალი ფუძის სემანტიკის სიმბოლიზაციაა მიღწეული შემდეგ მაგალითშიც:

როდის დაგება ის დღე დიადი
როს ბორკილს შევხანით ერს
დამცირებულს,
და დაუბრმავებს თუალს ვანთიადი,
ჩ რ დ ი ლ ე თ ი ს წიფელ ჯალათთა
კრებულს
(ზ. გამსახურდია, უსათაურო)

საერთოდ, აზროვნების პოლიტიზაციამ მრავალი აპელატივის ონიმიზაცია გამოიწვია, გააქტიურდა აპელატივისა და საკუთარი სახელის ურთიერთგადასვლის პროცესებიც, ონიმის გატერმინება, აბსტრაქტირება და სხვ.

სასოტბო სიმღერებისა თუ სხვა მიძღვნილი ნაწარმოებების ერთობლიობის — კრებულისა თუ ციკლის დასახელება სპეციალური — იადა,

-იანა სუფიქსებით (მდრ. „ილიადა“, შექსპირიანა და მისთ.) განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება თანამედროვე საბჭოთა აპოლოგეტური ლიტერატურის აღსანიშნავად:

ლენინიდა — სტალინიდა — ბრენენვიდა ერთი მთლიანი ციკლია ერზაკოტერატურისა (ა. ბაქრ.).

საზოგადო სახელზე ამ სუფიქსის დართვა მიგვანიშნებს კანკანურობაზე და მის მიმართ ნეგატიურ რეაქციაზე:

იყო დრო, როცა კომპარტია საქართველოს ბაჰის რესპუბლიკად გადაქცევის უბრძობა, იყო გაჩაღებული ბამბიდა პრესაში, მწერლობაში“ (ა. ბაქრ.).

იდეოლოგიური ორიენტაციის მაჩვენებელი სუფიქსებია: -იზმ, -ისტ, -შინა (-ობა).

ენიდან საკუთარი სახელები ფუნქციური თვალსაზრისით დიდი კონკრეტულობით ხასიათდება და, ამასთანავე, „ასემანტიკურობითაც“ გამოირჩევა, განზოგადებისას ხდება მისი ამა თუ იმ ნიშნის აბსტრაქციის გზით მისი სემანტიზაცია და ამ დროს წინა პლანზე წამოიწევა ატრაქციული მხარე. ასეთ შემთხვევაში აქტიურდებიან ექსტრალინგვისტური ფაქტორები (განსაკუთრებით, ფსიქოლინგვისტური ფაქტორები).

აქ შეიძლება კვლავ დავასახელოთ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელები, რომლებიც ასოცირებულია გმირობასა და რაინდობასთან, და რომლებიც XIX—XX საუკუნეების ლიტერატურაში ზოგ კონტექსტში განსაკუთრებული მიზნით არიან მოამბილნი ეპოქის დაცემის, ცნობიერების გაღარბების, ზნეობრივ ფასეულობათა რადიკალური ცვლილების ხაზგასმელად. ასეთი პერსონაჟებია, მაგალითად, დარეჯანი „კაცია ადამიანიდან“, ტარიელ მკლავაძე — ეგნატო ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდიდან“ და სხვ.

საკუთარი სახელი, ჩვეულებრივ, კლასს, სათანადო აპელაციით აღნიშნული საგნის კლასს, გვარს და მისთ. უკავშირდება. იგი საგნის ინდივიდუალური აღმნიშვნელია. მას არა აქვს ძირითადი, დენოტაციური ფუნქცია, მაგრამ შეიძლება ახლდეს დამატებითი, „გვერდითი“ კონოტაციები, თუკი სახელებს ობიექტი საკმარისად ცნობილია.

ონიმთა აბსტრაპირების ერთ-ერთი გავრცელებული გზაა -ობა სუფიქსის დართვა საკუთარ სახელურ ფუძეზე (თათქარიძეობა — მოვლენა, მცონარობა, ხრუშჩოვობა — ხრუშჩოვის დრო...), ბოლო ხანებში სუფიქს -ობა-ს ხშირად ენაცვლება უფრო თანამედროვე და ინტერნაციონალური სუფიქსი — -იზმი (მაგ., სტალინიზმი, მაოიზმი), აქვე უნდა დავასახელოთ რუსული სუფიქსი „-შინა“ (-щина), რომელიც მექანიკურად გადმოდის ხოლმე სათანადო ონიმთა ქართულად თარგმნისას. რუ-

სული -шина, ისევე როგორც ქართული -ობა, განსაკუთრებით გავრცელებულია ონომასტიკურ წარმოებებში (Обломовщина, Аракчеевщина და სხვ.) სპეციალურ ლიტერატურაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ რუსულში დაბოლოება -шина-ს უარყოფითი ნიუანსი აქვს, ქართულში -ობა სუფიქსი შედარებით ნეიტრალურია, მას არ ახლავს ასეთივე ნეგატიური ელფერი, ხოლო უარყოფითი ნიუანსი ქართულში მიიღწევა თვით იმ პერსონაჟის შეფასებიდან გამომდინარე, რომლის სახელიც უნდა განზოგადდეს¹⁵.

-შინა სუფიქსი მკაფიო ნეგატიური კონოტაციის მატარებელია და ამ თვისებას იგი გადასცემს დადებითი სემანტიკური ფონის სახელსაც:

„ენენშინა“ მოლიანად — ეს არის საზოგადოებრივი შეხედრული, ურცხვად შეფერუპირებული რუსული დედისგინება, ლათური, ცრემლებით მაგრად დასველებული... აი, რა არის „ენენშინა“ (ნ. ბუხარინი, „მნათ.“).

-ობა, -იზმი, და -შინა სუფიქსები, როგორც ითქვა, განმაზოგადებელ, მათაბსტრაქტირებელ სუფიქსებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ უკვე გაინაწილეს „გავლენის სფეროები“ და ერთმანეთის ფუნქციებში თითქმის აღარ იჭრებიან:

1. ქართული სინამდვილიდან აღებული ონიმები აბსტრაქტირებისას ძირითადად -ობა სუფიქსს დაირთავენ. ამგვარი წარმოება გადმოსცემს:

ა) რელიგიური თუ სხვა ხასიათის დღესასწაულთა სახელწოდებებს:

დღე მოვიდა ნა ვ რ ო ბ ა, დედოფალსა ძღვენი ესძღვენიო
(„ვეფხისტყაოსანი“)

აღალის წიშით ვერ წაეა ნიბლია ჟ ვ ა რ ო ბ ა ს ა ო
(ხალხური)

გათაედა ყ ე ე ნ ო ბ ა ..

დიდი ამბავი იყო

კრივი და ცუდ-ენობა...

ბერს გადაახდა საბრიყვო

(აკაკი, „ყეენობა“)

ბ) მიმდინარეობას, ამა თუ იმ იდეოლოგიის, მოძღვრების, სკოლის მიმდევრობას:

შეშინოდა, რომ თერგდალეულობა არ დამწამონ მეტი (ილია, „მგზავრის წერილები“).

ქართველებს ერთი საძიველი სენიც გვჭირს — ყიზილბაშობა, რომელსაც ქართველი „ზრდილობას“ ეძახის (ილია, „აზრები“).

¹⁵ აღ. კობახიძე, -шина სუფიქსის შემცველი რუსული სახელების ქართულად გადმოცემასათვის: ქსკს, II, თბ., 1979, გვ. 294—303.

ბ) ვისივე თვისების განმეორებას, ვინმედ თავის ჩვენებას:

— ჰმ, — ჩაიყინა იმან ისე გულდინჯად, თითქო ქვეშაგებში მშვიდობითა წევსო. — ამით გათავლა შენი შეტყობა დინობა? (ილია, „გლახის ნაამბობა“)

ეგრეთ გონება ხალისიანა
არსენას აშბით შე მეზრდებოდა;
მიეფარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა
(ილია, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“)

ხელს არა ვპყოვ ვარეგანად
გაზრწყინებებს და შკობას!
ვერ დაეუთმობ ვერაფერს
შინაგან აკავიბას!

(აკაკი, „პასუხი მეგობარს“)

ხუმარადაც ვარგებულხარ
ვაქცაღობით პირველით,
შაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს სულ ვლით

(აკაკი „თორნიკე ერისთავი“).

და ვივინებ იმერეთის
ომს ვეფხვებრივს, შინაზრდილობას

ნის ჩონგურებს და წერეთლის
უღარებულ წებრეთლობას
(გ. ტაბიძე, „მშობლიურთ ჩემო
მიწავს“)

დაეტყო კიდევ ქარებს ქარობა,
როცა მტრობა და ედგარობა...
(გ. ტაბიძე, „ქარებს ქარობა“)

ხომ ხედავ, როგორ გაბრუნდა ომი,
ეა, თუ ძალები შემოწმელია,
თუმცა შარადში ვერ თანამდგომი,
ავთანდილობა ერთობ ძნელია
(მ. კოსტავა, „ძმას ქრისტესმიერს“)

ღ) -ობა-სუფიქსიანი წარმოება უქონლობის პრეფიქსთანაც გვხვდება:

მომავალს აშფოთებს რაღაც მონობა,
როგორ შევიძლოთ უღვთისმშობლობა?
ვით ავიტანოთ უშადონობა? 16.
(გ. ტაბიძე, „თუ ბრძოლა არ არის“)

ე) -ობა სუფიქსით მინიშნებულია დრო, ეპოქა... (არაზობა საქართველოში = არაბთა ბატონობის დრო, ხრუშჩოვობა = ხრუშჩოვის მმართველობის დრო...):

ხრუშჩოვობას, სახედრები რომ დიძახეს დამხადებაში, რაიკომის მდივნთან მივიდა... (რ. ინანი).

-ობა- დაბოლოებიან წარმოებას ქართულში -იზმ-იანი ფორმებიც ენაცვლება. ძირითადად ეს სუფიქსი ინტერნაციონალიზმებში გვხვდება და ძირითადად ორი სახის განსვადდება გვიჩვენებს:

16. -ობა სუფიქსის სიტყვაწარმოებითი უნარი ძველი ქართული წყაროების მაგალითზე ნაჩვენებია აქვსა დ. მედიქიშვილს, იბ. მისი მონოგრაფია „იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი“, თბ., 1975, გვ. 80.

1) იდეოლოგიის, პოლიტიკური კურსის, რელიგიური რწმენის მიმართულების ჩვენება -იზმ-ის დარღვივას ელფერის მიხედვით შედარებით ნეიტრალურია:

კაცობრიობამ მისი ვრცელი ისტორიის მანძილზე ნაირ-ნაირი „იზმების“ კონსტრუქციები დააყენა; ...როცა ებრაელი ლაპარაკობს ეროვნულ ინტერესზე, ეს სინონიზმია, როცა ჩინელი — ეს ჰეგემონიზმი, როცა ქართველი — ეს ნაციონალიზმი, ხოლო როცა რუსი — ეს ინტერნაციონალიზმი (ა. ბაქრ.).

ინტერნაციონალიზმის ძირითადი იდეაა, რომლითაც გამსჭვალულია კომუნისტების მუშაობა (ქეგლ). დადგა დრო, როდესაც პირველყოფილი კომუნისტები ნატორიაქტით შეიცვალა... (ქეგლ).

2. -იზმ სუფიქსი უარყოფით ნიუანსს სძენს ეთნიკური წარმომავლობის ონიმებს, რომელთათვისაც ტიპობრივი და სისტემატურია განზოგადება, აბსტრაქტირება ამ მაწარმოებლის მეშვეობით:

რუსეთში ევროპეიზმის დავაობამ და რუსიზმის აღორძინებამ საქართველო აზიური ჩიხიდან სლავიზმის ქაობში ჩაავლო (ა. ბაქრ.).

3) -იზმ სუფიქსი ანთროპონიმთა მიაბსტრაქტირებელ საშუალებად გამოიყენება. ამგვარ წარმოებათა ნაწილი მოძღვრებას, დოქტრინას, იდეოლოგიურ კურსს გადმოსცემს (მაგ., მაიოიზმი, ლენინიზმი, მარქსიზმი, სტალინიზმი...).

ამა თუ იმ საზოგადოებრივ-სარწმუნოებრივი მიმართულების წარმომადგენელთა, მიმდევართა აღნიშვნა ამგვარი ონიმიზირებული ფორმებით ხდება: (იაკობინელი, სტალინელი, ლენინელი).

ამავე დანიშნულებით გამოიყენება -ისტ სუფიქსი, რომელიც ნეიტრალური შინაარსისაც შეიძლება იყოს (მაგ., კომუნისტი, მარქსისტი...) და უარყოფითი კონოტაციისაც; იმისდა მიხედვით თუ როგორი შინაარსია ჩადებული თავად „ფუძე-ლექსემაში“:

...თვით პროფესორი ჭავჭავიძე,
და სხვა მრავალი ჯერია „ისტები“,
კაცკამია კოტეტიშვილი —
პლედა წუნკალ შოვინისტები ს17.

(ფ. ნაროუშვილი, პოლიტიკური პოეტის დეკლარაცია)

3. გამსახურდია ცნობილია, როგორც რეაქციონერი-შოვინისტი და ანტი-საბჭოთა მწერალი, რომელიც ამ ათი წლის განმავლობაში განუწყვეტლოვ იბრძვის... შოვინიზმისა და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად... („კომ.“ 1931 წ.)¹⁸.

17 სხვათა შორის, მიმდევრობის აღმნიშვნელი ინტერნაციონალური -ან სუფიქსი პოლიტიკა ფუძესთან შეხამებაში ნევატიურ ნიუანსს იძენს. შდრ., პოლიტიკანი და პოლიტიკოსი ან პოლიტოლოგი.

18 მაგალითები ამოღებულია ა. ბაქრაძის დასახ. ნაშრომიდან.

აპელატივაციაში აქტიურად გამოიყენება მრავლობითი რიცხვის წარმოება. საკუთარ სახელთათვის არსებითად მიუღებელი მრავლობითობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ონიმთა განზოგადებისათვის:

„კორფი“ და „ვოდოვოზოვი“,
„უშიმსკიც“ შეუსწავლიათ:
„პეტალოდისტერგეგები“
არშიად ვარე ავლიათ.

(აკაკი, „ჰანორამა“)

ცეცხლი გწყუროდა, რომ აგენტთა ბნელი ნაპირი,
წმინდა ტაძრები, სიონები, სვეტიცხოვლები,
ესლა შენ არ გახურს არაფერი, ო, არაფერი,
მხოლოდ სამთრების მწუხარებით შეიფოთლებდი

(გ. ტაბიძე, უსათაურო)

15 საუკუნე —

ჯვარზე გაცრული

თითქო განგებით,

ჯალალ-დინებით

თემურ-ლანგებით

(გ. ტაბიძე, „15 საუკუნე“)

რომ სასოება არ გქონოდა ჯვარზე ენებულის
ბუბიქარების გოროზობას ვით გაუძლებდი.
შენ შანის წილს დაუბრუნე შენანებული
შვილი ნაკლული, შვილი ურჩი, შვილი უძლები

(მ. კოსტავა, „ღირს მამა დავითს“)

ჩვენდა გასაოცრად გაჩნდნენ მოდერნიზებული კამოები, ხერგოები, სტალინები და ლენინები („კებად.“).

მრავლობით რიცხვში საკუთარ სახელთა გაფორმება არა მარტო-ეგზისა და ნ/თ-ის მეშვეობით ხდება, არამედ სიმრავლის გამომხატველი მსაზღვრელებითაც:

მასთან უძლური იყო ცეცხლა

ასული ცამდე

ათასი ჩინგის, მაჰმადხანი

და თემურ ლანგი.

ცხარე ბრძოლის ხმა ეპოქასთან გაღაზრდალია

ხმა სიყვარულის,

ხმა მონობის

წინააღმდეგი,

ცეცხლი — აკაკი,

გმირი — ეჭა,

ბრძენი — ილია.

რამდენი გვირი

და რამდენი

კიდევ უაზბეგი!

(გ. ტაბიძე, „რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?!“)

შენაღდე ბევრი ბასტილის დაცხრა დისი...

შენაღდე იყო პეტროგრადის ბარიკადები...

(შ. ნიშინიძე, „მეგობარ პოეტს“)

ონიშთა განზოგადების „უმაღლეს საფეხურა“ ვერბალიზაცია წარმოადგენს, რადგან განმანვეებისას საკუთარი სახელი განსაკუთრებულ მოქნილობას იძენს და მისი სინტაქსური შესაძლებლობების გაზრდის წყალობით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კონტექსტზე (რაც თავისთავად შედარებით ძნელია ონიშისათვის).

საკუთარი სახელები, ვიდრე ისინი მხოლოდ ნომინალურ ფუნქციას ასრულებენ, „ასემანტიკური“ არიან. მაგ., **შაჰ-აბასი, ტარიელი, აკაკი...** ესენი აღამიანთა სახელებია, ოღონდ არა მათი ხასიათის მჩვენებელი ნიშნები. მაგრამ საკმარისია ონიში განმანვედეს (ე. ი. განზოგადდეს), რომ იგი იტვირთება შინაარსით, ემოციურ-ატრაქციული ელფერით, ეკისრება გარკვეული სტალისტიკური ფუნქცია. ონიში შეიძლება გადაიქცეს ერთგვარ მათემატიკურულ სამუშაოებად და მას დაეკისროს ვრცელი კონტექსტის, შინაარსის გადმოცემა (მაგ., „**ვცრიდავითა** პატარა კახმა! ე. ი. დავით აღმაშენებლის მსგავსი პოლიტიკური გამარჯვებანი ვერ მოიპოვა ვრცელე მეორემ...“).

ცხადია, ყველა ონიში და მათგან წარმოებული ზმნები მთელი ენობრივი კოლექტივისათვის შეიძლება არ იყოს გასაგები, და მხოლოდ განაზღვრული სოციალური ჯგუფებისათვის იყოს მისაწვდომი, მაგრამ თვით ამ ჯგუფებშიც ამგვარი ლექსიკა აღქმა ერთგვაროვანი არ არის.

ვერბალიზაციის უნარი მხოლოდ აბსტრაქტირებულ, უკვე განზოგადებულ ონიშსა აქვს. ამ თვალსაზრისით კი ზმნის წარმოება მხოლოდ აწმყოში **-ობა-** სუფიქსიან ონიშურ ფუძეს შეუძლია. შესაძლოა ეს იმიტაც აიხსნას, რომ **-ობ** თემის ნიშანი აქვს ასეთი უნარი სახელთა განმანვეებთა (ვიტობა, პოეტობა, ექიმობა, ხოლო **-ობა** აქ ემთხვევა მასდარულ დაბოლოებას: **-ობ** თემატური სუფიქსი + მასდარის **-ა** ნიშანი).

-იზმ და **-შინა** სუფიქსებზე დაბოლოებული აბსტრაქტირებული ონიშები, ჩვეულებრივ, არ ვერბალიზდებიან, თუმცა ზეპირ მეტყველებაში სპონტანურად შექმნილი ფორმები (**მაიიზმობს, სტალინიზმობს, არაქნევეშინობს** და სხვ.) ცხადყოფს, რომ **-იზმ, -შინა-** დაბოლოებული ონიშები ხელახლა (და არასწორად!) ირთავენ **-ობ-**ს ახალი ზმნე-

ბის საწარმოებლად (სწორი წარმოება იქნებოდა: სტალინისტობს...
შდრ.: კომუნისტობს, ე. ი. იქცევა სტალინელივით, კომუნისტივით).
გაზმნავებულ ონიმთაგან ხშირია გარდაუევალი სტატიკური ზმნები,
ე. წ. საშუალი გეარის ზმნები:

თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინებდა
(„ვეფხისტყაოსანი“).

ხან რუსთველობს, ხან შავთელობს,
ხანაც მთიწახრუხავებს...
აძარმწარებს ტბილ ქართულსა:
ხან თავს სჭირს და ხან ატყუებს
(აკაკი, „ბანორაი“).

რომ ჩემის მღერით აგზნილა
რაჟიფი ტარელობდეს,
ქაჯთა ებრიოდეს ლომ-კაცი,
ნესტანისაივის ხელობდეს!
(აკაკი, „რუსთაველის სურათზე“)

ვერბალიზებული ონიმები, თუკცა იწვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებ-
ბა ქართული დამწერლობის აღრინდელ ძეგლებში (სამეცნიერო და
მხატვრულ ლიტერატურაში), ამ მხრივ საინტერესოა ენიანი ვნებიითის
ხმარება:

მაგ: ხეღვაიმცა ფილოსოფოსთა განცდისა შეარისტოტელურა (იოანე
პეტრიწი)¹⁹.

გულს ოდენ სამშობლო მოეთინათინა²⁰
შოვიდან ისარმა სხება მოადინა
(გ. ტაბიძე, „შოვიდან ისარმა სხება მოადინა“)

ონიმთაგან გარდაუევალი სტატიკური ზმნების წარმოება ყველაზე
ხშირი იყო ჩვენ მიერ მოძიებულ მაგალითებში:

კაცები ტარიელ-აფთანდილს მბამფუნენ, ქალები თინათინობას სცდილობდენ...
მსახურნი შერმადინობდენ... (აკაკი, „ბაში-აჩუკი“)

განსაკუთრებით მრავლადაა ონიმთაგან ნაწარმოები მედიოაქტი-
ური ზმნები:

შუაზე ჰობს მდინარე საცხეს,
თეგანწირული ირგვლივ არი სნა.

¹⁹ მაგალითი მოყვანილია დ. მედიქიშვილის დსახ. ნაშრომიდან, გვ. 138
(შდრ. თანამედროვე ქართულში: მემცხეთა, მემცხეთება).

²⁰ თინათინობდა - სიტყვათა თამაშია: 1. = თინათინობას იჩენებდა;
2. ბრწყინავდა, ციმციმებდა.

მოწყენილია თელავის ციხე, —
ვერ იასპინძა რადვან კრწანისმა

და როცა ეზნში შეიკნენ უკვე,
მამაპაპურმა სიმღერამ მსუყემ —
იალაზანა,
იალაზანა,
ორმაგი მისცა ალაზანს ძალა,
და გაძმოლახა ნაპირნი წყალმა

.....

პირზე ღიმილი ასწება გელათს,
თვალეში ცრემლით ევსება ხახმატს:
ვერ იღავეითა პატარა კახმა
ვერ იღავეითა პატარა კახმა!
(მ. მაჭავარიანი, „ღვინი ალაზნის ვალაში“)

მოიპარიზა,
მოირთმა,
მოისტამბოლა, —
პობრუნდა შინ და
ოუღასი ეღვინა აზბორი
(მ. მაჭავარიანი, „ისევ საბა“).

ღონიანი ვნებითის მაგალითთა:

უახლოვდება საუკუნის მას მეოთხედი
ჭგონია, თითქო საქართველოს წინ დაიბადა,
საბედისწერო წუთს ელოდი, წუთო, მოხვედი,
პიერო წუთით წითელ ქუდში გაგარიბა დედა
(ტ. ტაბიძე, „ორი აპრილი“)

მოქმედებითი გვარის ზმნის ნიმუში:

კვლავ დილაა...
— აეთანდილი?!
— რუსთველია! —
— რამ გააღეთ ან დილა...
(მ. მაჭავარიანი, „ნიდის.. მიდის...“)

ამრიგად, საკუთარ სახელთა ვერბალიზაცია მეორეული მოვლენაა,
მას წინ უძღვის ონიმის აბსტრაქტიზებული გააზრება და ამის საფუ-
ძველზე ინფორმაციული სემანტიკის შექმნა.

არსებობს ვერბალიზაციის უფრო გრძელი, „მოვლითი“ გზაც:

ა) სახელი — ზმნა — წინარე ვითარების აღმნიშვნელი სახელი
(სამუმი — სამულობს — ნახამუშარი):

თეატრი ხდება ლურჯ ვაზოლებით
უღაბნო ყვავილთ ნასამუშარი
(ვ. ტაბიძე, „სახალწლო ეფექტა“)

ბ) ნა — არ-ის მეშვეობითაა წარმოებული ტოპონიმთაგან შემდგომ
ლექსემები:

შენ —
სისხლო ჩემო — სად არ დაღვრილა...
შენ —
სად არ გხვრება შავი ყორანი...
ვინ ვაგაკვირვოს,
რამ ვაგაკვირვოს,

ნადიდგორალი,
ნაშამქორალი
(მ. შავჭავჭავაძის, უსათაურო)

გ) სა-პრეფიქსიანი წარმოება (დანისხულების სახელები):

ძენი, ძის ძენი მეფე გუბაზის, —
მეჩე რამდენი, მეჩე რამდენი —
დახოცილები ქართულ სუფრასზე, —
დიღომში წვანან სამარაბდენი.

ხწარ შემოხევეაში მსხდარი ხანტაზე, —
ვაქეში წვანან საასპინდენი
(მ. შავჭავჭავაძის, „თქვა თხზარმა“)

მომოსკოვება არ აღროვა ყინვამ ძლიერმა, —
მოსკოვმა შთანთქა ძვალნი ნისნი, —
სატანძიენი
(მ. შავჭავჭავაძის, „ისევ საბა“)

წარმოდგენილი მისაღის ანალიზთან დაკავშირებით ისმის პრაქტიკული ლექსიკოგრაფიული საკითხებიც. საუბარი ეხება არა ცალკეულ ანთროპონიმიკულ, ტოპონიმიკურ და მისთ. ლექსიკონებსა თუ მათს ორთოგრაფიულ ცნობარებს, არამედ ფართო პროფილის განმარტებით-სტილისტიკურ ლექსიკონებს, — მით უფრო, რომ არსებობს, თუმცა არა თანამიმდევრული და ამომწურავი, მაგრამ მინც გარკვეული პრაქტიკა სტილისტიკური დატვირთვის მქონე ონიმთა ამგვარ ლექსიკონებში შეტანისა²¹.

²¹ მხედველობაში გვაქვს უებსტერის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელშიც შეტანილია ძველი და ახალი აღთქმის პერსონაჟთა სახელები (აბრაამი, იოანე, პეტრე...), ანტიკური ზოოლოგიის სახელები (დიანა, პენელოპე...), თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის პერსონაჟები (პიტერ პენი...) და სხვ. ამ ლექსიკონში არ არის წარმოდგენილი არატრადიციული ინგლისური სახელები, მაგრამ მოცემულია სახელოა შემოკლებები. სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, უებსტერის ლექსიკონი განმარტებითა, სრულად ასახავს თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკონს და მის სტრუქტურულ სურათს. მართლაც, განმარტებითი ლექსიკონი ეერ იქნება სრულყოფილი, თუცა ენის ყველა ასპექტს არ გაითვალისწინებს, ეს ასპექტები კი, ცხადია, საკუთარ სახელებსაც უნდა გულისხმობდეს.

Webster's New Twentieth Century Dictionary of the English Language, Springfield, 1979).